ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის

<u>არჩევნები 2020</u>

ა(ა)იპ „ახალგაზრდული ცენტრი ჩვენი თაობა 1921“

პროექტის განხორციელების პერიოდი: 25/09/2020 -25/10/2020

2020

პროექტის მიზანი:

- პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, ამომრჩევლის ინფორმირებულობა 2020 წლის არჩევნებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და თითოეული ადამიანისთვის, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო სისტემებს, საარჩევნო კანონმდებლობას, ერთი ხმის მნიშვნელობას და ა.შ
- ასევე ბენეფიციარები გაეცნენ არჩევნებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურების საკითხებს, საარჩევნო უფლებებსა და მათი რეალიზების პროცედურას.
- აღსანიშნავია, რომ 2020 წლის არჩევნები ახალი საარჩევნო სისტემით ჩატარდა, რის შესახებ ბენეფიციარებს, ასევე მიეწოდათ ინფორმაცია.

პროექტის განხორციელების არეალი:

- ქ. საგარეჯო
- ქ. გურჯაანი
- ქ. სიღნაღი
- ქ.დედოფლისწყარო

პროექტის სამიზნე ჯგუფი:

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა რეგიონის მოსახლეობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა:

პროექტის ფარგლებში გაიმართა 16 საჯარო/საინფორმაციო შეხვედრა და ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს რამდენიმე ასეულ ადამიანს, ასევე მოხდა, მაისურების, ფლაერების, ბლოკნოტების დამზადება/შეძენა დარიგება.

Beauty salon

ფლაერი



ა(ა)იპ „ახალგაზრდული ცენტრი ჩვენი თაობა 1921“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია:

- 21-ე მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში
- ხალხის ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით

✓ საქართველოს მოქალაქეს, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება 18 წლის ასაკიდან ენიჭება.

✓ არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

✓ საქართველოში 2020 წლის 31ოქტომბერს საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება

✓ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდება (30 მაჟორიტარი/120პროპორციული სიით)

შენი ხმა გადამწყვეტია!

არჩევნები 2020

2020



ცესკოს რეკომენდაციები არჩევნების/კენჭისყრის დღე

- ამომრჩეველი არ გაივლის თერმოსკრინინგს, მაგრამ ვალდებულია, ეცეთოს პირბადე. იმ შემთხვევაში თუ მას არ ექნება პირბადე, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნულით.
- ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტრით
- ამომრჩეველს უბანზე მისვლისას, იდენტიფიცირების მიზნით ორჯერ, მცირე დროით, უწევს პირბადის მოხსნა.

✓ თუ ამომრჩეველი არ იხსნის პირბადეს, მასზე არ გაიცემა საარჩევნო ბიულეტენი/ ბიულეტენები

პროექტის ეფექტი:

გაიმართა მასშტაბური საინფორმაციო შეხვედრები კახეთის ოთხ ქალაქში

- ქ. ყვარელი
- ქ. თელავი
- ქ. ლაგოდეხი
- ქ. ახმეტა

პროექტის ფარგლებში, შეხვედრების დროს საუბარი შეეხო:

- საარჩევნო კულტურის ზრდას
- არჩევნებისადმი ნდობის ხარისხის გაზრდას
- არჩევნებში მონაწილეობის გაზრდას
- სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას
- მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებას.

ასევე დღესდღეობით მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევას, კოვიდ-19 პანდემიას და პანდემიის პირობებში, ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურებზე ამომრჩეველთა ინფორმირებას და აქტივობის ზრდას საარჩევნო პროცესში.

მადლობა ყურადღებისთვის

2020